

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 13

ქ.ვანი თავისუფლების N65

27 დეკემბერი 2018 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარბეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: გელა ღვიტიძე, ამირან ტალახაძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

3. მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ.

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა განიხილა წარმოდგენილი საკითხი, მხოლოდ შენიშვნა გამოითქვა მხოლოდ ორ პროგრამაზე, კერძოდ;

ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამაში პირველ შვილზე 200 ლარის ნაცვლად ერთჯერადი დახმარება გაეწიოს 300 ლარით და მეორე შვილზე 300 ლარის ნაცვლად 350 ლარით.

სარიტუალო დახმარების პროგრამაში გარდაცვლილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახის წევრზე ან დასაფლავების ხარჯების გამღებ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 ლარის ნაცვლად 500 ლარით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-7

წინააღმდეგი- არცერთი

/დანართი 2/

დაადგინეს:

დამტკიცდეს და ცვლილება იქნეს შეტანილი ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ პროგრამებში.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა განიხილეს და მოიწონეს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი მეორე საკითხი.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-7

წინააღმდეგი- არცერთი

/დანართი 3/

დაადგინეს:

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ. კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-7

წინააღმდეგი- არცერთი

/დანართი 4/

დაადგინეს:

დამტკიცდეს მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების წესი.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის თავმჯდომარე